ხელშეკრულება №62

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 8 ნოემბერი 2023 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო წილოსანის სახით და მეორეს მხრივ, „მორიკა“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით სილაგაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების სასაჩუქრე პროდუქციის შეძენა (CPV: 18500000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 509,60 (ხუთასცხრა ლარს და 60 თეთრს).

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (წყალტუბო, სოფელი ბანოჯა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5. 1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი : სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლა ს/კ 221300152 მის: წყალტუბო, სოფელი ბანოჯა ტელ: 577964427 საბანკო რეკვიზიტები : ს/ს ,,საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE34BG0000000119539700 დირექტორი ---------- (ხელმოწერა) ბ.ა	მიმწოდებელი: „მორიკა“ ს/კ 412670275 მის.: ქ. ქუთაისი წერეთლის ქ. 173 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ა GE72PC0013600100039077 დირექტორი ---------- (ხელმოწერა) ბ.ა

----------დანართი №1

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა (მიღება-ჩაბარება)

1. შესყიდვის ობიექტია:

#	შტრიხკოდი	საქონელი (სამუშაოები, მოწესახურება)	რაოდენობა		ფასი	თანხა
1	702881009675	საბალნლო ნაძვის ხის მოსართავი "ოქროსფერი დრაკონი" SH-9675	3	0	4.90	14.70
2	702881009667	საბალნლო ნაძვის ხის მოსართავი "22სმ. 3ც. გამჭვირვალე ლოლო, ვერცხლისფერი ბრჭყვიალებით" პლასტმასისაგან. SH-9667	7	0	5.90	41.30
3	702881009677	საბალნლო ნაძვის ხის მოსართავი "გამჭვირვალე დრაკონი, ვერცხლისფერი ბრჭყვიალებით" SH-9677	1	0	4.90	4.90
4	692843496227	საბალნლო დეკორაცია "20სმ. კრემისფერი საშობაო ყვავილი ოქროსფერი ბრჭყვიალებით" SH-9349	12	0	3.00	36.00
5	695123221575	სანთელი 7,5x6სმ. "ცილინდრული ფორმის, სურნელოვანი, ფერადი" SH-9733	4	0	6.90	27.60
6	200999004577	საბალნლო დეკორაცია "სტატუეტი დრაკონი თეთრი გარსით" კერამიკისაგან. SH-9848	5	0	8.50	42.50
7	692538128824	საბალნლო დეკორაცია "ოქროსფერფოთლებიანი და კენკრებიანი ტოტი, 30სმ" 12770-1	3	0	5.50	16.50
8	702881009664	საბალნლო ნაძვის ხის მოსართავი "27სმ. გამჭვირვალე ლოლო, ოქროსფერი ბრჭყვიალებით" პლასტმასისაგან. SH-9664	6	0	6.90	41.40
9	702881009666	საბალნლო ნაძვის ხის მოსართავი "გამჭვირვალე ლოლო" პლასტმასისაგან. SH-9666	2	0	6.90	13.80
10	200999004478	საბალნლო სტატუეტი "დრაკონი" პოლიესტერისაგან. 23619	5	0	4.90	24.50
11	692538128796	საბალნლო დეკორაცია "6სმ. სანთლის მოსართავი გვირგვინი, ოქროსფერი მბზინავი ტოტი შუშის ბურთულებით" 12768	4	0	8.90	35.60
12	692538228517	კარის ზარი თოკის საკიდზე "ანგელოზი გულით" კერამიკისაგან. 16052	3	0	10.90	32.70
13	702881009676	საბალნლო ნაძვის ხის მოსართავი "შამპანურისფერი დრაკონი" SH-9676	2	0	4.90	9.80
14	200999004612	კერამიკული სუვენირი "9,5სმ. ფერადი დრაკონი თავზე ოქროსფერი გვირგვინით" კერამიკისაგან. 15945-3	2	0	42.00	84.00
15	692538001934	საბალნლო სუფრა 33x180სმ. "ნახატით ირმები" ვინილენისგან. 58431	6	0	14.00	84.00
16	200999003042	20000000000 პოლიეთილენის პარკი ისამნისფერი (44x72სმ.) (20)	1	0	0.20	0.20
17	200999003987	10000000000 პოლიეთილენის პარკი ყვითელი (40)	1	0	0.10	0.10

სულ: 509.60

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო

სკოლის დირექტორი /ნ. წილოსანი

„მორიკა“ /დ. სილაგაძე/